სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/205

27 ივლისი 2018

ქ. თბილისი

აკადემიური დეპარტამენტის დებულებისა და აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელობის საკითხის შესახებ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 მარტის №1461 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის №20 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. ნაწილობრივ შეიცვალოს სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 მარტის №1461 დადგენილების მე-2 დანართი და მის პირველ მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„1.4. აკადემიური დეპარტამენტის უფროსობა პირს ეთვლება სასწავლო მუშაობის კომპონენტად, რაც აისახება მის აკადემიურ დატვირთვაში 100 საათის ოდენობით სასწავლო წლის განმავლობაში. დეპარტამენტის უფროსის წერილობით დადასტურებული სურვილის თანახმად, აღნიშნული საათები შეიძლება ჩაითვალოს მისი, როგორც აკადემიური პერსონალის ნორმირებული აკადემიური დატვირთვის (400/500 ან 200/250 სთ.) ფარგლებში ან ფარგლებს გარეთ. ანაზღაურება მოხდება არსებული აკადემიური თანამდებობის შესაბამისი სახელფასო ნიხრის მიხედვით.“

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე